

# AI - ხელოვნური ინტელექტი პრაქტიკაში - EXPRESS COURSE

## ლექტორი

გიორგი ბასილაია

## კურსის მიზანი

AI - ხელოვნური ინტელექტი პრაქტიკაში EXPRESS არის 18-საათიანი კონცენტრირებული კურსი, რომელიც სამ კვირაში გაძლევს ყველაზე აქტუალურ AI უნარებს. პროგრამა მოიცავს გენერაციული AI-ის საფუძვლებს, Prompt Engineering-ის მონინავე ტექნიკებს და წამყვანი მოდელების - ChatGPT, Claude და Gemini - პრაქტიკულ გამოყენებას.

## კურსის დრო

6 შეხვედრა (18 საათი)

მსმენელები დაეუფლებიან AI-ზე დაფუძნებულ კვლევას Perplexity-ითა და NotebookLM-ით, ვიზუალური კონტენტის გენერაციას GPT Image 2-ითა და Google Nano Banana 2-ით, პრეზენტაციების შექმნას Gamma AI-ით და ვიდეო გენერაციას Google Flow-ით (Veo 3.1).

პრაქტიკული ბლოკი მოიცავს სამუშაო პროცესების ავტომატიზაციას Make.com-ით, AI Agents-ისა და MCP (Model Context Protocol)-ის გამოყენებას, ვებ-აპლიკაციების შექმნას Lovable.dev-ითა და Google Antigravity-ით. კურსი სრულდება პერსონალური AI ასისტენტების გამართვით (Custom GPTs, Claude Projects), AI უსაფრთხოების (PII, EU AI Act) საკითხებით და საკუთარი AI Playbook-ის შედგენით.

## სახწავლო კურსის შინაარსი

### ლექცია 1: გენერაციული AI-ს შესავალი, CHATGPT და AI-ს შეზღუდვები

- AI-ის ისტორია, ევოლუცია და 2026 წლის ლანდშაფტი
- ChatGPT, Claude, Gemini - შედარება და პირველი ნაბიჯები
- AI-ის შეზღუდვები და ჰალუსინაციები - როგორ ამოვიცნოთ
- Perplexity AI – AI ძიება VS Google
- კრიტიკული აზროვნება AI-ის გამოყენებისას

### ლექცია 2: PROMPT ENGINEERING, კვლევა და ცოდნის მართვა

- CLEAR ჩარჩო და სტრუქტურირებული მითითებები
- Few-shot, Zero-shot და Chain-of-Thought ტექნიკები
- AI ბრეინშტორმინგი და ახალი იდეების გენერაცია
- NotebookLM - „ისაუბრე შენს დოკუმენტებთან“

### ლექცია 3: ვიზუალური კონტენტი, პრეზენტაციები და ვიდეო AI

- სურათების გენერაცია: GPT Image 2, Google Nano Banana 2
- AI პრეზენტაციები: Gamma AI, Canva Visual Suite 2.0
- Google Flow (Veo 3.1) - ვიდეო native audio-თი
- ქართული ტიპოგრაფიის ინტეგრაცია AI ვიზუალებში

#### **ლექცია 4: ავტომატიზაცია, NO-CODE ხელსაწყოები და AI AGENTS**

- Make.com - სამუშაო პროცესების ავტომატიზაცია
- AI Agents - ავტონომიური ამოცანების შესრულება
- MCP (Model Context Protocol) - AI-ის ინტეგრაცია სხვა სისტემებთან
- პრაქტიკული სცენარები: ელფოსტა, დოკუმენტები, მონაცემები

#### **ლექცია 5: NO-CODE DEVELOPMENT - ვებ-აპლიკაციების შექმნა**

- Lovable.dev - ვებ-აპის შექმნა ტექსტური მითითებებით
- Google Antigravity - AI-პირველი IDE (5 პარალელური აგენტი)
- Claude Code, ChatGPT Codex
- პრაქტიკული პროექტი: საკუთარი AI ხელსაწყო შექმნა

#### **ლექცია 6: CUSTOM AI ასისტენტები, AI PLAYBOOK და პრეზენტაციები**

- Custom GPTs და Claude Projects - პერსონალური ასისტენტები
- AI Security 2026 - PII დაცვა და EU AI Act
- AI Playbook - პირადი AI სტრატეგიის დოკუმენტი
- სტუდენტების პრეზენტაციები და კურსის შეჯამება

### **სასწავლო კურსის შედეგები**

კურსის დასრულების შემდეგ მსმენელი შეძლებს:

- ChatGPT, Claude და Gemini მოდელების სწორად შედარებასა და შერჩევას კონკრეტული ბიზნეს ამოცანისთვის
- პროფესიონალური პრომპტების შექმნას CLEAR Framework-ითა და Chain-of-Thought ტექნიკით
- Perplexity-ისა და NotebookLM-ის გამოყენებას სიღრმისეული, წყაროებზე დაფუძნებული კვლევისთვის
- სარეკლამო ვიზუალების, სლაიდებისა და ვიდეოების გენერაციას სრული AI კონტროლით
- ყოველდღიური სამუშაო პროცესების ავტომატიზაციას Make.com-ზე და AI აგენტების დაგეგმვა
- მუშა, ბაზასთან დაკავშირებული ვებ-აპლიკაციის შექმნას კოდის გარეშე Lovable.dev-ში
- პერსონალური Custom GPT ასისტენტების ან Claude Projects-ის გამართვას გუნდისთვის
- პირადი AI Playbook სტრატეგიის ჩამოყალიბებას და ფინალური პროექტის წარდგენას

### **კურსში განხილული AI ინსტრუმენტები**

- ChatGPT
- Claude
- Gemini
- Google AI Studio
- Lovable
- Make.com
- Notion AI
- NotebookLM
- HeyGen
- Midjourney
- Nanobanana
- Perplexity
- LMSYS Chatbot Arena
- Gamma

## ლექტორის შესახებ

- გიორგი ბასილაია 25 წელზე მეტია ტექნოლოგიების სფეროში მუშაობს და ამ პერიოდში გაიარა გზა მკვლევრიდან უნივერსიტეტის პროფესორამდე და დამწყები ტექნიკოსიდან IT დეპარტამენტის ხელმძღვანელამდე;
- გიორგის გამოცდილება აერთიანებს როგორც აკადემიურ საქმიანობას, ისე პრაქტიკულ მენეჯერულ მუშაობას თანამედროვე ტექნოლოგიებთან. წლების განმავლობაში ის თანამშრომლობდა ისეთ გლობალურ კომპანიებთან, როგორიცაა Google, Microsoft, Amazon, IBM, Dell, HP-Enterprise, VMWare და სხვა;
- მისი საქმიანობის მიმართულებებია:
  - ხელოვნური ინტელექტის გამოყენება რეალურ ამოცანებში და პროფესიულ სფეროებში;
  - კიბერუსაფრთხოება და ინფორმაციული სისტემების დაცვა;
  - No-Code და ავტომატიზაციის ინსტრუმენტები, რომლებიც ამარტივებს ყოველდღიურ სამუშაო პროცესებს;
  - განათლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა.
- გიორგი არის:
  - 14 სამეცნიერო სტატიის ავტორი საერთაშორისო ჟურნალებში (3388 ციტირებით Google Scholar-ის მიხედვით);
  - 10 საერთაშორისო კონფერენციის მომხსენებელი;
  - 18 საერთაშორისო კვლევითი პროექტისა და გრანტის მონაწილე ან ხელმძღვანელი (NATO, USAID, ERASMUS და სხვ.).
- მისი სწავლების სტილი დაფუძნებულია პრაქტიკაზე - ყოველი თეორიული თემის შემდეგ სტუდენტები მუშაობენ რეალურ ამოცანებზე. ეს მიდგომა კურსს აქცევს არა მხოლოდ ინფორმაციულს, არამედ პრაქტიკულ გზამკვლევად, რომელიც აუდიტორიას ეხმარება AI-ის ინტეგრირებაში საკუთარ სამუშაოსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში.